

დავით გარეჯელის ლავრის წინა სარეაბილიტაციო არქეოლოგიური
კვლევა 2017 წელს

გიორგი კურტანიძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერება და ხელოვნების ფაკულტეტზე არქეოლოგიის მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მინიჭების მითხოვნის შესაბამისად*

სამაგისტრო პროგრამა: არქეოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნოდარ ბახტაძე, ისტორიის მეცნიერებათა
დოქტორი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, 2019

დავით გარეჯელის ლავრის წინა სარეაბილიტაციო არქეოლოგიური კვლევა
2017 წელს
(აბსტრაქტი)

დავით გარეჯელის ლავრა საქართველოს ერთ-ერთი გამორჩეული ქრისტიანული სასულიერო კერის, დავით გარეჯის მრავალმთის კომპლექსის შემადგენელი მონასტერია და მუდამ ამ სამონასტრო მხარის ცენტრს წარმოადგენდა. მონასტერი დაარსდა ახ. წ. VI საუკუნეში, საქართველოში სამისიონერო მიზნით სირიიდან ჩამოსულ „ათცამეტ ასურელ მამათაგან“ ერთ-ერთის, წმ. დავით გარეჯელის მიერ.

მიუხედავად იმისა, რომ დღემდე დავითის ლავრაში არაერთ ისტორიკოსს და ხელოვნებათმცოდნე მეცნიერს ჩაუტარებია კვლევები, ანსამბლის შემადგენელი ხუროთმოძღვრული კომპონენტების ქრონოლოგიური სტრატეგრაფია ჯერ კიდევ არ არის შესაბამისად დაზუსტებული. სწორედ ამიტომ, მეტად აქტუალური და საყურადღებო ინფორმაციის მომცემი აღმოჩნდა ამ ძეგლზე 2017 წელს ჩატარებული, სარეაბილიტაციო სამუშაოების თანმხლები არქეოლოგიური სამუშაოები, რომელშიც მეც მივიღე მონაწილეობა.

კვლევის ერთ-ერთი უმთავრესი სიახლე აღმოჩნდა იმ ფაქტის დადასტურება, რომ ლავრის ეზოს ტერასის საყრდენი ქვიტკირის კედელი მიშენებული ყოფილა კანიონის ფერდობში გამოკვეთილ, აქამდე უცნობ სივრცეებზე: სენაკებზე და სხვა დანიშნულების სათავსებზე (შესაძლოა გამოქვაბულ ეკლესიაზეც).

მეტად მნიშვნელოვანია ისიც, რომ სპეციალურ სამალავში მივაკვლიეთ საყოფაცხოვრებო ნივთების მეტად საინტერესო კოლექციას: საშიშროების დროს მონასტრის წევრების მიერ გადამალულ, სატრაპეზოსთვის განკუთვნილი სპილენძის ნივთების კოლექციას, სულ 22 ნივთს - ქვაბებს,

ჯამებს, სინებს, სანათურებს და სხვ. ნივთები XVI-XVII საუკუნეებით დათარიღდა. ამ ფაქტმა სანდოობა მიანიჭა ისტორიულ გადმოცემას, რომლის მიხედვითაც XVII საუკუნის დასაწყისში, საქართველოში ირანის მმართველის, შაჰ-აბას I-ის მიერ ორგანიზებული საომარი კამპანიის დროს, ირანელთა ლაშქარმა გარეჯის მონასტრები სასტიკად დაარბია და აღდგომა დღეს უამრავი ბერ-მონაზონის სიცოცხლევ შეიწირა.

ძირითადი თემატური საძიებო სიტყვები: არქეოლოგია, წმ. დავით გარეჯელი, გამოქვაბული, მონასტერი, შუა საუკუნეები, სპილენძის ნივთები

Davit Garejeli Lavra pre-rehabilitation archeological research in 2017

(Abstract)

St. David Garejeli Lavra is the constituent monastery of one of the distinguished Christian religious hearths- David Gareji Mravalmta complex, and it has always been the center of this monastery district. St. David Garejeli, one of the Thirteen Assyrian Fathers, who came to Georgia on a religious mission, founded the monastery in VI century AD.

Even though numerous explorations have been conducted until today by the historians and art experts - scientists, the chronological stratigraphy of architectural components of the ensemble have not been relevantly specified yet. For this reason, the archeological works on this monument in 2017, in which I took part, turned out most topical and providing important information.

One of the main novelties of the research was confirmation of the fact that the limestone wall, supporting the Lavra yard terrace was built into the unknown until then spaces, hewn into the canyon slopes, in particular, to the cells and facilities for other purposes (Possibly, to the cave church).

It is also most important, that we discovered in the special hiding place the very interesting collection of the household things: the collection of the copper things, designated for the refectory and hidden by the monastery members. There are 22 items in total in the collection: pots, bowls, trays, lamps, etc. The items were dated by XVI-XVII centuries. This fact has made reliable the historical evidence, according to which the Iranian ruler Shah-Abbas I organized the military campaign against Georgia, during which the Iranian army devastated Gareji monasteries ruthlessly and killed a great number of monks and priests on the Easter day.

Key words: Archaeology, St.David Garejeli, cave church, Monastery, medieval Ages, Copper material